

ძალაშია 1995 წლის 26 ივნისიდან

ხელშეკრულება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და თურქეთის
რესპუბლიკის მთავრობას შორის
საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ

საქართველოს მთავრობა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობა

აქვთ რა სურვილი ხელი შეუწყონ ორ ქვეყანას შორის მგზავრების გადაყვანას და ტვირთის გადაზიდვას საავტომობილო ტრანსპორტით, აგრეთვე ტრანზიტით, მათი ქვეყნების ტერიტორიაზე,

მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

ამ ხელშეკრულების პირობები უნდა ითვალისწინებდეს მგზავრების გადაყვანას და ტვირთის გადაზიდვებს საავტომობილო გზებით, გახსნილი საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლისათვის, ერთი მონაწილე ქვეყნის ტერიტორიიდან ან მისი ტერიტორიისაკენ, აგრეთვე ტრანზიტით მეორე მონაწილე ქვეყნის ტერიტორიის გავლით, იმ სატრანსპორტო საშუალებებით, რომლებიც რეგისტრირებულია პირველი მონაწილე მხარის ტერიტორიაზე და უფლება აქვთ განახორციელონ საერთაშორისო გადაზიდვები.

მუხლი 2 განსაზღვრებანი:

ტერმინი "გადაზიდვა" ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, უფლებამოსილს გადაიყვანოს მგზავრი ან გადაზიდოს ტვირთი მონაწილე ქვეყნების კანონების, წესებისა და დადგენილებების გათვალისწინებით.

ტერმინი "სატრანსპორტო საშუალება" ნიშნავს:

ა) ტვირთების გადაზიდვის დროს – სატვირთო ავტომობილს, სატვირთო ავტომობილს მისაბმელით, საავტომობილო საწვევარს ან საავტომობილო საწვევარს ნახევარ-მისაბმელით, ნახევარმისაბმელს.

ბ) მგზავრების გადაყვანის დროს - ავტობუსს, ან ნებისმიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებას, რომელიც განსაზღვრულია მგზავრების გადასაყვანად და რომელსაც გააჩნია არა უმცირესი 8(რვა) დასაჯდომი ადგილი, მძღოლის ადგილის ჩათვლელად და აგრეთვე მისაბმელი მგზავრების ტვირთის გადასაგანად.

ტერმინი "ნებართვა" ნიშნავს ერთი მონაწილე მხარის მიერ გაცემულ საბუთს საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებაზე, რეგისტრირებულს ერთ-ერთი მონაწილე მხარის მიერ, რომელიც ნებას რთავს ერთი მონაწილე მხარის სატრანსპორტო საშუალების შესვლას, გამოსვლას და ტრანზიტით გავლას მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე. ეს ტერმინი მოიცავს ამ ხელშეკრულებისათვის შემუშავებულ სხვა "ნაბართვებსაც".

ტერმინი "კვოტა" ნიშნავს ყოველწლიურად გაცემულ ნებართვათა რაოდენობას, თითოეული მონაწილე მხარის უფლებამოსილი ორგანოების მიერ.

ტერმინი "რეგულარული საავტომობილო მომსახურება" ნიშნავს მგზავრთა გადაყვანას ორი მონაწილე ქვეყნის ტერიტორიებს შორის დადგენილი მარშრუტით, ტარიფით, განრიგით, გადაზიდვების შესრულების პერიოდის და რეგულარობის გათვალისწინებით და აგრეთვე, მგზავრთა ჩასხდომისა და გადმოსხდომის პუნქტებში გაჩერებით.

ტერმინი "მგზავრების რეგულარული გრანზიგული გადაყვანა" ნიშნავს რეგულარულ მომსახურებას ავტობუსით ერთი მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, მეორე მონაწილე ქვეყნის ტერიტორიის გადაკვეთით, მგზავრების დატოვების და აყვანის გარეშე, რომელიც მთავრდება მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე.

ტერმინი "მაქოსებური რეისი" ნიშნავს მგზავრების ორგანიზებულ გადაყვანას საერთაშორისო მიმოსვლაში, რომლებიც წინასწარ არიან გადანაწილებული ჯგუფებში ერთი და იმავე მარშრუტით და უკან დასაბრუნებელი წინასწარგანსაზღვრული ერთი და იგივე დროის მიხედვით. (ამ ჯგუფში მყოფი მგზავრები ვალდებული არიან დაბრუნდნენ იმავე ჯგუფთან ერთად. პირველი უკან დასაბრუნებელი რეისი დანიშნულების ადგილისაკენ განხორციელდება მგზავრების გარეშე).

ტერმინი "მგზავრთა გადაყვანა დახურული კარით" (მგზავრთა ჩარტერული გადაყვანა) ნიშნავს მგზავრთა გადაყვანას საერთაშორისო მიმოსვლაში, რომელსაც ერთი და იმავე მგზავრების ჯგუფი ერთი და იმავე გრანსპორტით მგზავრობს ერთ-ერთი მონაწილე ქვეყნის ტერიტორიის ერთი პუნქტიდან იმავე მონაწილე ქვეყნის მეორე პუნქტამდე, მგზავრთა აყვანის ან ჩამოსმის გარეშე.

ტერმინი "გრანზიგული გადაზიდვა" ნიშნავს მგზავრების გადაყვანას და გვირთის გადაზიდვას ერთ-ერთი მონაწილე ქვეყნის ტერიტორიის გავლით, გაგზავნის და დანიშნულების პუნქტებს შორის, რომელიც არ იმყოფება აღნიშნული მონაწილე მხარის ტერიტორიაზე.

მუხლი 3

თითოეულმა მონაწილე მხარემ, ამ ხელშეკრულების პირობების თანახმად, მარშრუტის შედგენისას უნდა ცნოს საგრანზიგო უფლებები მეორე მონაწილე მხარის მგზავრთა პირადი სურვილების, კომერციული გვირთის და საგრანსპორტო საშუალებების სასარგებლოდ.

მუხლი 4

არცერთ მონაწილე მხარეს არ შეუძლია დააწესოს საექსპორტო ან საიმპორტო გადასახადი (საბაჟო გადასახადის ჩათვლით) მეორე მონაწილე საგრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც იმყრებიან მის ტერიტორიაზე, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- ა) გადასახადი ფასიანი საგზაო ინფრასტრუქტურების ქსელის გამოყენებისათვის (ბეგარა გზებზე და ხიდებზე);
- ბ) გადასახადი არადისკრიმინაციულ საფუძველზე, რათა დაიფაროს სხვაობა საწვავის საერთაშორისო და ნაციონალურ ფასებს შორის;
- გ) გადასახადი, თუკი წონა, მოცულობა ან საგრანსპორტო საშუალების გვირთი აღემატება განსაზღვრულ ნორმებს მონაწილე მხარეების სახელმწიფო კანონმდებლობის მიხედვით;
- დ) გადასახადი, (ორივე მონაწილე მხარის შეთანხმებით) თუ ერთ-ერთი მხარის საგრანსპორტო საშუალებანი განახორციელებენ გადაზიდვებს მეორე მხარის ტერიტორიაზე დადგენილ კვოტებზე ზევით. ეს საკითხი დარეგულირდება სპეციალური ოქმით.

მუხლი 5

უნდა ჩამოყალიბდეს შერეული კომისია ორივე მონაწილე მხარის წარმომადგენლების შემადგენლობით. შერეული კომისიის კომპეტენციაში შედის:

- ა) მეთვალყურეობა გაუწიოს ამ ხელშეკრულების სრულყოფილად განხორციელებას;
- ბ) განსაზღვროს ნებართვების გაცემის დრო, ფორმა, რაოდენობა და საშუალებანი;
- გ) შეისწავლოს და წამოაყენოს წინადადებანი იმ შესაძლო პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც უშუალოდ არ იქნება მოგვარებული იმ კომპეტენტური ორგანოების მიერ, რომელმაც დაპარაკია ამ ხელშეკრულების 28-ე მუხლში;

დ) განიხილოს ყველა სხვა შესაბამისი მაკითხები ამ ხელშეკრულების ფაგრლებში და მათი რეგულირების თვალსაზრისით შეიმუშაოს რეკომენდაციები;

ე) განიხილოს ყველა სხვა გრანსპორტირებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც ექვემდებარება ორმხრივ შეთანხმებას.

საჭიროების შემთხვევაში შერეული კომისია შეიკრიბება ერთ-ერთი მონაწილე მხარის მოთხოვნით ან თურქეთში, ან საქართველოში.

შერეული კომისიის მუშაობის დღის წესრიგი უნდა მომზადდეს წინასწარ, გემოთ ნახსენები კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილე მხარეების მიერ, დიპლომატიური არსების მეშვეობით.

შერეულ კომისიას შეუძლია შესწორება შეიგანოს და დახვეწოს ამ ხელშეკრულების ნებისმიერი მუხლი და დასამტკიცებლად წარუდგინოს სათანადო კომპეტენცურ ორგანოებს.

მუხლი 6 მგზავრების გადაყვანა

ერთი მონაწილე მხარის გადამზიდველმა უნდა განახორციელოს რეგულარული რეისები ან გრანზიტული მომსახურება მეორე მონაწილე მხარის გერიგორიაზე სპეციალური ყოველწლიური ნებართვების საფუძველზე, რომელიც გაცემულია მეორე მონაწილე მხარის კომპეტენცური ორგანოების მიერ.

მუხლი 7

მონაწილე მხარეების კომპეტენცური ორგანოები წინასწარ წარუდგენენ ერთმანეთს მგზავრების გადაყვანის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ წინადადებებს. ეს წინადადებები უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გადამზიდვის (ფირმის), სვლაგემის, მოძრაობის განრიგის, გარიფების, გასაჩერებელი პუნქტების, სადაც გადამზიდველი განახორციელებს მგზავრების ჩასხლომას და გადმოსხმას და აგრეთვე, განსაზღვრულ დროში გადაყვანების პერიოდულობისა და რეგულარობის მონაცემებს.

მუხლი 8

ერთი მონაწილე მხარის გერიგორიაზე რეგისტრირებული საგრანსპორტო საშუალების მიერ განხორციელებული "მგზავრების გადაყვანა დახურული კარით" (გრანზიტული ტურისტით) ან "მაქოსებური რეისით" მომსახურება მეორე მონაწილე მხარის გერიგორიისაკენ ან გერიგორიიდან არ საჭიროებს ნებართვას, თუ ისინი ხორციელდება მხარეების მიერ შეთანხმებული პირობების დაცვით.

მუხლი 9

მგზავრების ყოველი არარეგულარული გადაყვანისათვის ავტომატურად, უნდა გაიცეს სპეციალური ნებართვა, რომელიც ერთი რეისის დაბრუნებით განხორციელების უფლებას იძლევა, თუ მოცემულ ნებართვაში სხვა რამ არ არის ნაგულისხმევი. მონაწილე მხარეების კომპეტენცური ორგანოები ერთმანეთს უთანხმებენ ასეთი ნებართვების მიღების წესს და მათ ფორმებს.

მუხლი 10 გვირთვის გადაზიდვა

საგრანსპორტო საშუალებებით გვირთვის გადაზიდვა ან მონაწილე მხარეების გერიგორიაზე გრანზიტით გვირთვის გადაგანა საჭიროებს კომპეტენცური ორგანოების მიერ წინასწარ გაცემული ნებართვების მიღებას, გამომდინარე დადგენილი კვოტებიდან, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა) მიცვალებულის გადაყვანა (განსაკუთრებით ამ მიზნისათვის განკუთვნილი სპეციალური საგრანსპორტო საშუალებით);

ბ) თეატრალური წარმოდგენებისათვის დეკორაციების გადაზიდვა;

გ) მუსიკალური, საცირკო, ხალხური შემოქმედების, სპორტული სანახაობის, გელე და რადიოპროგრამების ჩატარებისათვის საჭირო გვირთის, აღჭურვილობის გადაზიდვა და ცხოველების გადაყვანა;

დ) ხელოვნების ნიმუშების გადაზიდვა;

ე) ცხოველების გადაყვანა, რომლებიც დასაკლავად არ არიან გამიზნული;

ვ) ღამიანებული და წყობიდან გამოსული საგრანსპორტო საშუალებების გადაზიდვა;

ზ) საფოსტო გზავნილების გადაზიდვა;

თ) შემთხვევითი გვირთის გადატანა აეროპორტისაკენ და პირიქით;

ი) ღახმარების საგნების გადაზიდვა სტიქიური უბედურების დროს;

კ) ბაზრობებისა და გამოფენებისათვის გვირთის გადაზიდვა;

ლ) სხვა შემთხვევები ექვემდებარებიან შერეული კომისიის სპეციალურ შეთანხმებას.

მუხლი 11

გვირთების ყოველი გადაზიდვისათვის გაცემული უნდა იქნეს ცალკეული ნებართვა, რომელიც საგრანსპორტო საშუალების ერთი რეისის განხორციელების უფლებას იძლევა. გაცემული ნებართვა იძლევა მეორე მონაწილე მხარის გერიგორიაზე დაგვირთის უფლებას. თუ ქვეყანაში, სადაც რეგისტრირებულია მოცემული საგრანსპორტო საშუალება, შედის დაუგვირთავი გრანსპორტი, ეს საჭიროებს სპეციალურ ნებართვას.

მუხლი 12

ნებართვა ძალაშია 1 (ერთი) წლის განმავლობაში და მომდევნო წელზე გაიცემა ყოველი წლის ნოემბერში. ზოგიერთი დამატებითი ნებართვები გაიცემა საჭიროების შემთხვევაში, ორივე მონაწილე მხარის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

საგრანსპორტო ნებართვა ძალაშია ერთჯერადი საგრანზიტო მგზავრობისათვის მონაწილე მხარეების გერიგორიებზე.

ნებართვა ძალაშია მხოლოდ ერთი საგრანსპორტო საშუალების და მხოლოდ იმ მძღოლისათვის, ვისზედაც გაცემული იყო ეს ნებართვა სათანადოდ და იგი არ ექვემდებარება გადაცემას.

მონაწილე მხარეების კომპეტენტური ორგანოები ერთმანეთს უთანხმებენ ასეთი ნებართვების გაცემის წესებს და მათ ფორმებს.

მუხლი 13

1. იარაღის, საომარი და ასაფეთქებელი საშუალებების და სამხედრო მოწყობილობების გადაზიდვა მონაწილე ქვეყნებს შორის ან გრანზიტო რომელიმე მონაწილე მხარის გერიგორიაზე საჭიროებს სპეციალურ ნებართვას.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც საშიში გვირთის გადაზიდვას ესაჭიროება სპეციალური ნებართვა, გადაზიდვამა ეს სპეციალური ნებართვა უნდა მიიღოს მეორე მონაწილე მხარის კომპეტენტური მხარის ორგანოებისაგან.

3. გრანზიტის უფლება რა გააჩნია იმ ნივთებს, რომელთა გადატანა აკრძალულია იმის გამო, რომ ისინი ქმნიან საშიშროებას ცხოველებისა და მცენარეებისათვის, ჯანმრთელობისათვის.

4. როდესაც დაგვირთული ან დაუგვირთავი ავგოსაგრანსპორტო საშუალების წონა და გაზარიგები აღემატებიან მეორე მონაწილე მხარის ნორმებს, გადაზიდვამა უნდა მიიღოს მეორე მონაწილე მხარის კომპეტენტური ორგანოებისაგან სპეციალური ნებართვა.

5. თუ წინამდებარე მუხლის 1-ლ და მე-2 პარაგრაფებში ნახსენები ნებართვები ითვალისწინებენ ავგოსაგრანსპორტო საშუალების მოძრაობის რაიმე გარკვეულ მარშრუტს, მაშინ გადაზიდვა უნდა განხორციელდეს ამ მარშრუტის მიხედვით.

მუხლი 14

საერთაშორისო გვირთვის გადაზიდვა საავტომობილო გზით, ამ ხელშეკრულების თანახმად, უნდა ექვემდებარებოდეს საერთაშორისო გვირთის გადაზიდვის კონვენციის მოთხოვნებს ” და ნაციონალურ კანონებს და დადგენილებებს.

მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული გვირთის გადაზიდვა უნდა განხორციელდეს ზემოხსენებული საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.

მუხლი 15.

ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადაზიდვები შესაძლებელია განხორციელდეს იმ გადაზიდვაში, რომლებიც თავიანთი ქვეყნის შიგნით კანონმდებლობით დაშვებული არიან საერთაშორისო გადაზიდვების შესრულებაზე. გადაზიდვისათვის გაცემული ნებართვა მოქმედებს მხოლოდ უშუალოდ მის მიმართ და არ ექვემდებარება გადაცემას.

მუხლი 16

საავტომობილო საშუალებებს, რომლებიც საერთაშორისო გადაზიდვებს ახორციელებენ, უნდა ჰქონდეთ თავისი ქვეყნის სარეგისტრაციო აღნიშვნები და განმასხვავებელი ნიშნები.

მუხლი 17

გადაზიდვას ეკრძალება მგზავრების გადაყვანა და გვირთის გადაზიდვა მეორე მონაწილე მხარის ორ პუნქტს შორის, ამ მხარის კომპეტენტური ორგანოების თანხმობის გარეშე.

მუხლი 18

გადაზიდვას შეუძლია განხორციელოს გადაზიდვები მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიიდან მესამე ქვეყანაში და აგრეთვე მესამე ქვეყნის ტერიტორიიდან მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, თუ მან ამის განხორციელებისათვის მიიღო სპეციალური ნებართვა მეორე მხარის კომპეტენტური ორგანოებისაგან

მუხლი 19.

1. ავტობუსის და საგვირთო ავტომობილის მძღოლს უნდა ჰქონდეს ნაციონალური და საერთაშორისო მართვის მოწმობა, რომელიც შეესაბამება მის მიერ ავტოსაგრანსპორტო საშუალების მართვის კატეგორიას და ავტოსაგრანსპორტო საშუალებების ნაციონალური სარეგისტრაციო საბუთები.

2. ნაციონალური ან საერთაშორისო მართვის მოწმობა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო კონვენციით დადგენილი საგზაო მოძრაობის დებულებებს.

3. ნებართვა და სხვა საბუთები, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მოითხოვება, უნდა ერთვოდეს იმ ავტოსაგრანსპორტო საშუალებებს, რომლებსაც ისინი განეკუთვნებიან და რომლებიც წარედგინება კომპეტენტურ საკონტროლო ორგანოებს.

მუხლი 20

საერთაშორისო გადაზიდვები წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ყოველი ავტოსაგრანსპორტო საშუალების სამოქალაქო პასუხისმგებლობის წინასწარი დაზღვევის პირობით.

მუხლი 21

1. წინამდებარე ხელშეკრულების დებულებების დარღვევის შემთხვევაში, იმ ქვეყნის კომპეტენტური ორგანოები, სადაც რეგისტრირებულია ავტოსაგრანსპორტო საშუალება, მეორე ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების თხოვნით, სადაც დარღვევას ჰქონდა ადგილი, თავიანთ

ქვეყნებში მოქმედი კანონმდებლობისაგან დამოუკიდებლად, ვალდებულნი არიან განახორციელონ შემდეგი ღონისძიებებიდან ერთერთი:

ა) გააფრთხილონ (შენიშვნა მისცენ) გადამზიდავი;

ბ) გააფრთხილონ გადამზიდავი იმ განცხადებით, რომ ხელმეორედ დარღვევის შემთხვევაში მას ჩამოერთმევა ნებართვა გადაზიდვების განხორციელებისათვის გარკვეული დროით ან ანულირებული იქნება მოცემული მუხლის გ პარაგრაფის მიხედვით;

გ) გადადონ გარკვეული ვადით ან გააუქმონ იმ ნებართვის მოქმედება, რომელიც გაცემულია წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე;

მონაწილე მხარეების კომპეტენტური ორგანოები აცყობინებენ ერთმანეთს მიღებული ზომების შესახებ.

მუხლი 22

მონაწილე მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ, გაამარტივონ და მაქსიმალურად გააუმჯობესონ საბაჟო და სხვა ფორმალობანი, რომელიც დაკავშირებულია მგზავრთა გადაყვანასთან და გვირთის გადაზიდვასთან.

მუხლი 23

საწვავი, რომელიც მოთავსებულია ავტოსაგრანსპორტო საშუალებების სტანდარტულ ავზებში, თავისუფლდება საბაჟო და ყველა სხვა სახის გადასახადებისაგან. სტანდარტულ საწვავ ავზად ჩაითვლება ის ავზი, რომელიც დამზადებულია საგრანსპორტო საშუალებების გამომშვები ქარხნის მიერ.

მუხლი 24

საავტომობილო ნაწილი, რომელიც შეცვლილი იქნა, ექვემდებარება რეექსპორტს ან განადგურებას საბაჟო ორგანოების ზედამხედველობის ქვეშ, ან გადაეცემა მათ. სათანადო ნაწილების იმპორტი უნდა ექვემდებარებოდეს ნაციონალურ კანონებსა და დადგენილებებს.

მუხლი 25

საგრანსპორტო და საგრანზიგო ოპერაციებთან დაკავშირებული გადასახადის გადახდა მონაწილე მხარეებს შორის, უნდა მოხდეს კონვენციონალური ვალუტით, მონაწილე მხარეების უფლებამოსილი ბანკების მეშვეობით, მონაწილე მხარეების მოქმედი სავალუტო კანონების, დადგენილებებისა და წესების თანახმად.

მუხლი 26

უბელური შემთხვევების (ავარიის) , დაზიანების და სხვა სიძნელეების შემთხვევაში, მონაწილე მხარეების კომპეტენტურმა ორგანოებმა, რომლის ტერიტორიაზეც აღვლილი იქნება შემთხვევა, უნდა მიაწოდოს მეორე მონაწილე მხარეს ყველა საჭირო ინფორმაცია შემთხვევის, მისი შედეგიანობისა და გამოძიების გარშემო.

მუხლი 27

საგრანსპორტო საშუალებები და მათი ეკიპაჟები, რეგისტრირებული ერთი მონაწილე მხარის მიერ, უნდა დაემორჩილოს მეორე მონაწილე მხარის დადგენილებებს და საგზაო კანონებს.

ნებისმიერი სხვა საკითხები, რომლებიც შეეხება გრანსპორტირებას, მაგრამ არ არის გათვალისწინებული აღნიშნულ ხელშეკრულებაში, უნდა ემორჩილებოდეს მონაწილე მხარეების კანონებს, დადგენილებებსა და წესებს.

მუხლი 28

წინამდებარე ხელშეკრულების განხორციელებისათვის პასუხისმგებელ კომპეტენტურ ორგანოებს წარმოადგენენ:

1. საქართველოს რესპუბლიკაში – გრანსპორტის სამინისტრო;
2. თურქეთის რესპუბლიკაში – გრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო.

მუხლი 29.

ეს ხელშეკრულება ძალაში შედის სარატიფიკაციო ნოტების გაცვლის დღიდან მონაწილე მხარეების სახელმწიფო კანონმდებლობის მიხედვით და ძალაში რჩება 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

ეს ხელშეკრულება ავტომატურად განახლდება ყოველწლიურად: თუკი რომელიმე მონაწილე მხარე წერილობითი ფორმით არ გამოხატავს სურვილს მისი შეწყვეტის შესახებ სულ ცოცა 3 (სამი) თვით ადრე ვადის გასვლამდე.

საქართველოს რესპუბლიკის
მთავრობის სახელით

თურქეთის რესპუბლიკის
მთავრობის სახელით

შესრულებულია 1992 წლის 30 ივლისს.